ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წალკის მუნიციპალიტეტის მერის

ბრძანება

ბრძანება:ბ118. 118250369

თარიღი:05/02/2025

წალკის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს წალკის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების წესი (დანართი N1).

2. ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ.თეთრიწყარო, კოსტავას ქ.N11) მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ილია საბაძე

წალკის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

დანართი N1

წალკის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების წესი

მუხლი1. წესის მოქმედების სფერო

1. ეს წესი ადგენს პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინციდენტების იდენტიფიცირებისა და მათზე რეაგირების მექანიზმებს.
2. ამ წესის მოქმედება ვრცელდება პერსონალურ მონაცემებზე, რომელთა დამუშავებისთვისაც პასუხისმგებელი პირს წარმოადგენს წალკის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში მერია)

მუხლი 2. ინციდენტის ცნება და სახე

1. ინციდენტი არის პერსონალური მონაცემების უსაფრთხოების დარღვევა (მათ შორის, ორგანიზაციული, ფიზიკური ან ტექნიკური) რომელიც იწვევს პერსონალური მონაცემების არამართლზომიერ ან შემთხვევით დაზიანებას, დაკარგვას, აგრეთვე უნებართვო გამჟღავნებას, განადგურებას, შეცვლას, წვდომას, შეგროვება/მოპოვებას ან სხვაგვარ უნებართვო დამუშავებას.
2. ინციდენტის სახეებია:

ა) კონფიდენციალურობის დარღვევა - პერსონალური მონაცემების უნებართვო გამჟღავნება ან წვდომა;

ბ) მთლიანობის დარღვევა - პერსონალური მონაცემების უნებართვო შეცვლა, აგრეთვე არამართლზომიერი ან შემთხვევითი დაზიანება, დაკარგვა;

გ) ხელმისაწვდომობის დარღვევა - პერსონალურ მონაცემებზე წვდომის დაკარგვა, შეზღუდვა, მონაცემების განადგურება ან წაშლა.

მუხლი 3. ინციდენტის გამოვლენის წყარო

1. მერიის თანამშრომელი, რომლისთვისაც ცნობილი გახდა სავარაუდო ინციდენტის თაობაზე, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებილის მიაწოდოს მერიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს და წარუდგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი, მის ხელთ არსებული შესაბამისი მტკიცებულებები, ასევე მიუთითოს იმ პირთა ვინაობა, რომლებიც შესაძლოა ფლობენ ფაქტის შესახებ ინფორმაციას.
2. ინციდენტის გამოვლენის წყარო შიძლება იყოს აგრეთვე მონაცემთა სუბიექტის საჩივარი, მესამე პირის შეტყობინება (მათ შორის ანონიმურად) ან მერიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგები.

3. ინფორმაცია სავარაუდო ინციდენტის თაობაზე მერიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს წარედგინება ზეპირი ან წერილობითი (მატერიალური ან ელექტრონული) ფორმით

მუხლი 4. ინციდენტის აღმოჩენა

1. ამ წესის მე-3 მუხლით განსაზღვრული ინფორმაციის მიღების შემდეგ, მერიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერმა ინციდენტის არსებობის ვარაუდის სარწმუნოობის დასადგენად უნდა უზრუნველყოს საკითხის გონივრულ ვადაში (ყოველგვარი არასათანადო დაყოვნების გარეშე) შესწავლა.
2. სავარაუდო ინციდენტის შესწავლის მიზნით, მერიის პერსონალურ მონაცემთა ოფიცერი უფლებამოსილია:

ა) მერიის თანამშრომელს მოსთხოვოს წერილობითი ახსნა-განმარტება მოსაძიებელი ფაქტის ირგვლის, გაესაუბროს სხვა პირებს, რომლებიც შესაძლოა ფლობდნენ გამოსაკვლევ საკითხთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

ბ) გამოითხოვოს საჭირო ინფორმაცია/დოკუმენტი;

გ) განახორციელოს სხვა უფლებამოსილება, რაც დაეხმარება სავარაუდო ინციდენტის სრულყოფილად შესწავლაში.

3. საკითხის სირთულის, მოცულობისა და სპეციფიკის გათვალისწინებით, სავარაუდო ინციდენტის ფაქტობრივი გარემოებების დადგენაში მერიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის დახმარების მიზნით, მისი წერილობითი შუამდგომლობით, მერის ბრძანების საფუძველზე შეიძლება შეიქმნას ჯგუფი მერიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ხელმძღვანელობით, რომელშიც შესაძლოა ჩაერთონ მერიის სხვა თანამშრომლები, მოწვეული სპეციალისტები/დარგის ექსპერტები. ჯგუფის უფლებამოსილება განისაზღვრება ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.
4. შესწავლის შედეგებიდან გამომდინარე, მერიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი იღებს გადაწყვეტილებას ინციდენტის არსებობის ან არარსებობის შესახებ, რომლის თაობაზეც ადგენს შესაბამის დასკვნას.
5. ინციდენტის ფაქტის დადასტურების მომენტიდან ინციდენტი აღმოჩენილად ითვლება.

მუხლი 5. ინციდენტის შეფასება

1. ინციდენტის აღმოჩენისთანავე მერიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ახორციელებს ინციდენტის შედეგად ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის ალბათობისა და სიმძიმის შეფასებას საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კრიტერიუმებისა და წესის შესაბამისად.
2. ინციდენტი, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების შელახვის სიმძიმის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ზიანის გამომწვევად უნდა იქნეს მიჩნეული, იმ შემთხვევებში, თუ მას მოჰყვა/შესაძლოა მოჰყვეს ერთ-ერთი შემდეგი შედეგი:

ა) მონაცემთა სუბიექტის დისკრიმინაცია (ვინაობის მითვისება ან გაყალბება, ფინანსური ზიანი, მონაცემთა სუბიექტის რეპუტაციის შელახვა, პროფესიული საიდუმლოებით დაცული პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობის დარღვევა, ან სხვა სახის მნიშვნელოვანი სოციალური ან/და ეკონომიკური ზიანი);

ბ) მონაცემთა სუბიექტის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებისათვის ხელის შეშლა, მათ შორის, მონაცემთა სუბიექტის უფლებების კანონით დადგენილ ვადებში რეალიზების შეზღუდვა;

გ) პერსონალური მონაცემების იმგვარი წაშლა/განადგურება, რომელიც არ ექვემდებარება აღდგენას, ან მისი აღდგენა არაპროპორციულად დიდ დროსა და ძალისხმევას საჭიროებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პერსონალური მონაცემების (გარდა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემისა) დამუშავების მიზნიდან გამომდინარე, მათი წაშლის/განადგურების შედეგად, მონაცემთა სუბიექტს მნიშვნელოვანი ზიანი არ ადგება;

დ) განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების უკანონო გამჟღავნება;

ე) ფიზიკური ზიანი, მათ შორის, სამედიცინო მომსახურების მიღების შეზღუდვა, თუ აღნიშნული იწვევს სამედიცინო მანიპულაციის ან ოპერაციის გადადებას, რაც პაციენტის მკურნალობაზე ახდენს უარყოფით გავლენას;

ვ) არასრულწლოვნების, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისა და სხვა განსაკუთრებული სოციალური თუ სამართლებრივი დაცვის საჭიროების მქონე მონაცემთა სუბიექტ(ებ)ის პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავება.

3. ინციდენტით მონაცემთა სუბიექტების უფლებებისადმი გამოწვეული შესაძლო შედეგის სიმძიმის შეფასების შემდეგ საჭიროა მერის მიერ ამ შედეგის დადგომის ალბათობის განსაზღვრა.
4. შედეგის დადგომის ალბათობა შეიძლება იყოს დაბალი, საშუალო ან მაღალი.

მუხლი 6. ინციდენტის თაობაზე შეტყობინების/ინფორმირების ვალდებულება

1. მერიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი შეფასების საფუძველზე განსაზღვრავს იმ ინციდენტებს, რომლებზეც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ვრცელდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის ან/და მონაცემთა სუბიექტისათვის შეტყობინების ვალდებულება და ასეთის არსებობის შემთხვევაში, უზრუნველყოფს ამ ვალდებულების შესრულებას დადგენილ ვადაში და წესით.
2. მერიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ვალდებულია, ინციდენტის აღმოჩენის შემთხვევაში ინფორმაცია დაუყოვნებლივ მიაწოდოს წალკის

მუნიციპალიტეტის მერს, ინციდენტით გამოწვეული სავარაუდო ზიანის თავიდან აცილების, შემცირების ან აღმოფხვრის შესაძლებლობების განსაზღვრისა და შესაბამისი ღონისძიების განხორციელების მიზნით.

მუხლი 7. ინციდენტის აღრიცხვა

1. მერიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი ვალდებულია აღრიცხოს ინფორმაცია ყველა აღმოჩენილი ინციდენტის, დამდგარი შედეგებისა და მიღებული ზომების შესახებ, მიუხედავად იმისა, ექვემდებარება თუ არა ეს ინფორმაცია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისათვის ან/და მონაცემთა სუბიექტისათვის შეტყობინებას.